



ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა

იანვარი 2002 (#1)



The Community & Humanitarian Assistance Program is funded by the US Department of State (<http://www.state.gov>)

"Counterpart always has been and we hope always will be preoccupied with its mission of building a just world through service and partnership - helping people to help themselves".  
*Elizabeth B. Silverstein*  
President  
Counterpart International

## მიღწევები

"ქაუნთერფართ ინტერნეშენელი" არის არაკომერციული საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1965 წელს. მისი სათაო ოფისი მდებარეობს ვაშინგტონში. "ქაუნთერფართ ინტერნეშენელის" ოფისები ფუნქციონირებს მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში.

"ქაუნთერფართ ინტერნეშენელის" მუშაობის ძირითადი მიმართულებებია ჰუმანიტარული დახმარება (ქაუნთერფართის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა – CHAP), სამოქალაქო საზოგადოება, გარემო და მისი შენარჩუნება, ეკონომიკის განვითარება, ბავშვთა დაცვა და სასურსათო პროგრამები. კავკასიაში "ქაუნთერფართ ინტერნეშენელი" წარმოდგენილია ქაუნთერფართის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა CHAP-ით, რაც მიზნად ისახავს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე განვითარებად ქვეყნებში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებების ჩამოყალიბებას. ამ პარტნიორობის

საშუალებით CHAP-ი ანაწილებს ჰუმანიტარულ დახმარებას და ხელს უწყობს ადგილობრივი ორგანიზაციების გაძლიერებას კრიტიკულ პრობლემათა გადაწყვეტაში.

პროგრამა CHAP-ი კავკასიის რეგიონში პირველად 1995 წელს შემოვიდა, როდესაც გაიხსნა რეგიონული ოფისი თბილისში. 1997 წელს CHAP-ის ოფისი გაიხსნა ბაქოში, ხოლო 2001 წლის ბოლოს კი ერევანში.

CHAP-ი ეხმარება საავადმყოფოებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, პენსიონერებს, თბოლ ბავშვებს და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვა ფენებს, რომელთა მოთხოვნებიც ძალიან ხშირად დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. CHAP-ი ორგანიზებას უწევს მოხმარების საგნების განაწილების მთლიან პროცესს – დაწყებული საჭიროების განსაზღვრიდან, გვირთის შენახვის, გრანსპორტირების, მიღების და განაწილების ჩათვლით. აშშ-სა და ევროპის ცენტრალურ ოფისებთან შეთანხმებით CHAP-ის კავკასიის ოფისები ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად მუშაობენ პოტენციური

პროექტების განხორციელებაზე. რეგიონალური ოფისების თანამშრომლები ხელმძღვანელობენ საჭიროების შეფასების, პროექტების დამგვიცების, განაწილებისა და შემდგომი მონიტორინგის პროცესებს. ამჟამად CHAP/საქართველო ახორციელებს სამ მთავარ თემატურ პროექტს – საქართველოს პენსიონერთა დახმარების პროექტს, საქართველოს ლგოლვილთა დახმარების პროექტსა და საქართველოს ობოლთა დახმარების პროექტს. 1995 წლიდან CHAP-მა საქართველოში შემოიგანა \$38,630,201.37-ის ღირებულების ჰუმანიტარული გვირთი: განსაცმელი, საკვები პროდუქტი, ავეჯი, საოჯახო ნივთები და სხვ. და გაანაწილა 1,233,078 ბენეფიციარზე. ამ პროექტებით დაახლოებით 152,283 პენსიონერმა, 19,885 ობოლმა და 258,067 ლგოლვილმა მიიღო შესაბამისად \$4,658,467, \$467,202 და \$6,070,235-ის ღირებულების დახმარება საქართველოს ყველა რეგიონში. 2001 წელს CHAP/ საქართველომ მის წარმატებით განხორციელებულ სხვა პროგრამებთან ერთად დაასრულა USAID-ის მიერ დაფინანსებული ელექტროენერჯის შეღავათების პროგრამა. ორი წლის განმავლობაში CHAP/საქართველოს გელამხედველობით განხორციელდა საქართველოს მამთრის გათბობის დახმარების პროგრამა (GWHAP) - საქართველოში გაჭირვებულ ოჯახებისა და დაწესებულებებისთვის მამთრის პერიოდში ელექტროენერჯის საფასურის შეღავათებით უზრუნველყოფა. 1998 წლის 5 ოქტომბრიდან 2001 წლის მარტამდე CHAP-მა ასევე წარმატებით შეასრულა თავისი სამუშაო, როგორც მსოფლიოს ბერძენთა სათვისტომოს მიერ დაფინანსებულ SAE-ს სამედიცინო პროგრამის პარტნიორმა. პროექტის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა გაჭირვებული ბერძენი მოსახლეობის და საქართველოს ადგილობრივი სათვისტომოების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა საქართველოს სამ რეგიონში – თბილისში, წალკასა და ციხისჯვარში სამი სრულყოფილი კლინიკის დაარსებით.

2000 წლის 6 დეკემბერს საქართველოში აშშ-ს ელჩმა კენეთ ს. იალოვიცმა და CHAP/საქართველოს თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ 10 მილიონი დოლარის ღირებულების სამედიცინო სახარჯ მასალასა და ადჭურვილობას შემოიგანდნენ საქართველოს საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და სოფლის ამბულატორიებისთვის. განაწილება განხორციელდა საქართველოს 115 პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის, ეკლესიის, სკოლის და ადგილობრივი სახელმწიფო სოცუმრუნველყოფის დაწესებულებათა მეშვეობით. ეს პროცესი წარმატებით დასრულდა 2001 წლის მაისში.

2000 წელს საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებისთვის გადაცემული შემოწირული ამერიკული სამედიცინო ადჭურვილობისა და სახარჯი მასალის ღირებულება შეადგენს 33,000,000 აშშ დოლარს. ამ თანხას დამატებული განაწილებული განსაცმლის, საკვები პროდუქტისა და სხვა სახის დახმარების ღირებულება 12,000,000 აშშ დოლარი საერთო ჯამში შეადგენს 45,000,000 აშშ დოლარს.

CHAP/საქართველო ახალ 2002 წელს ხვდება 2001 წელს გაწეული დახმარების წარმატებული შედეგებით: CHAP-მა 130,214 პენსიონერს, 19,889 ობოლსა და 18,790 ლგოლვილს შეუმსუბუქა ცხოვრება.



## ბ ე ბ მ ე ბ ი

2002 წლის დასაწყისში CHAP/საქართველო გეგმავს ჰუმანიტარული ტვირთის: სამედიცინო აღჭურვილობის და სახარჯი მასალის, ახალი და მეორადი განსაცმლის, საყოფაცხოვრებო და საველე აღჭურვილობის, ავეჯის, საკვები პროდუქტის და სხვა დასახელების დახმარების ჩამოტანას ადგილობრივი მოსახლეობის გაჭირვებული ფენების დასახმარებლად. საქართველოში მიმდინარე პროექტებთან ერთად CHAP/საქართველო დაიწყებს რამოდენიმე ახალი პროექტის განხორციელებას, ესენია: საჩხერის №2 სკოლის დახმარების პროექტი, ლგოლვილთა სტრატეგიული პოლიკლინიკების დახმარების პროექტი და გურჯაანის ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დახმარების პროექტი.

### საჩხერის №2 სკოლის დახმარების პროექტი

1989 წელს ძლიერი მიწისძვრის შედეგად საქართველოში დაინგრა მრავალი შენობა, მათ შორის საჩხერის №2 სკოლის შენობა და სრულიად განადგურდა სასკოლო ინვენტარი და აღჭურვილობა. გასული 13 წლის განმავლობაში სკოლაში შეუძლებელი შეიქმნა ნორმალური მეცადინეობის ჩატარება. მაგრამ სკოლას არ შეუწყვეტია ფუნქციონირება და დღემდე გაკვეთილები ტარდება სკოლის ეზოში მოთავსებულ ვაგონებში.

ყველასთვის კარგად ცნობილია პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კაგაკლიზმებმა (რასაც ემატება ომები აფხაზეთსა და შიდა ქართლის რაიონში და სამოქალაქო ომი თბილისში), რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ წლებში, საქართველოს ეკონომიკა განადგურებამდე მიიყვანა. სიტუაციის მცირე გაუმჯობესების მიუხედავად, საქართველო კვლავ განიცდის მძიმე ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისს. სკოლა ექვემდებარება საქართველოს განათლების სამინისტროს და იმყოფება მის უზრუნველყოფაზე. სამინისტროს ბიუჯეტი დიდი ხანია მძიმე მდგომარეობაშია. მისი ფინანსური სახსრები მხოლოდ მასწავლებელთა ხელფასისთვისაც კი არ არის საკმარისი. ხშირად ისეც ხდება, რომ სკოლები საერთოდ ვერ იღებენ ფულს რამოდენიმე თვის განმავლობაში. საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე შეუძლებელი იყო სახსრების გამონახვა სკოლის აღსადგენად. 2001 წლის ბოლოსთვის სხვადასხვა საერთაშორისო დონორის ხელშეწყობით სკოლა აღდგენილ იქნა. მაგრამ ინვენტარისა და აღჭურვილობის პრობლემა კვლავ გადაუჭრელი დარჩა. ნათელია, რომ სასკოლო ავეჯისა და აღჭურვილობის გარეშე სწავლის აღდგენა შეუძლებელია. 2001 წლის 27 თებერვალს სკოლის ადმინისტრაციამ და USAID-ის ოფისმა თბილისში თხოვნით მიმართა ქაუნთერფართ ინთერნეშენელ/CHAP-ს რათა აღმოეჩინა დახმარება სკოლისთვის სასკოლო აღჭურვილობით და ავეჯით 17 საკლასო ოთახსა და 450 მოსწავლეზე.

შემუშავებულ იქნა ახალი პროექტი, რომელიც დამტკიცდა CHAP/ვაშინგტონის სათაო ოფისის მიერ. 2002 წლის თებერვლიდან სკოლა მიიღებს სასკოლო ავეჯს (მერხებს, დაფებს, მაგიდებს, სკამებს, დივნებს, სავარძლებს, და სხვა), სხვადასხვა აღჭურვილობას (კომპიუტერებს, ქსეროქსის აპარატებს, ტელევიზორს, რადიოსა და გელეფონის აპარატებს), ლაბორატორიის აღჭურვილობას, სპორტულ ინვენტარს, სამედიცინო აღჭურვილობას და მოწყობილობას.



## ლგოლვილთათვის სტრატეგიული პოლიკლინიკების დახმარების პროექტი

ყველასთვის ცნობილია შინაურმა კონფლიქტებმა, რომელსაც საქართველოში ჰქონდა ადგილი 1989 წლიდან 1993 წლამდე გამოიწვია 280,000 იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლგოლვილთა გასვლა სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან. იძულებით გადაადგილებულ პირთა უმეტესობამ თავშესაფარი ჰპოვა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მემობელ რაიონებში. აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული პირები ჩასახლდნენ სამეგრელოში, იმერეთსა და თბილისში.

მთავრობის მცდელობა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დახმარების გაწევის თაობაზე შემოიფარგლა ყოფილ სანაგროიუმებში, სასტუმროებში, მიტოვებულ სახელმწიფო შენობებში საცხოვრებლად მათი შესახლებით. მათი საცხოვრებელი პირობები კვლავ საშინელ მდგომარეობაშია. იძულებით გადაადგილებული პირები კი ღვანან ისეთი პრობლემების წინაშე, როგორცაა ავადმყოფობა, სიღატაკე, უმუშევრობა. მათი შემოსავალი სიღატაკის ზღვარს მიღმაა. ამ კატეგორიის ადამიანები მთავრობისგან იღებენ დახმარებას – ლგოლვილი ოჯახის თითოეულ წევრზე მხოლოდ 14 ლარს (7 აშშ დოლარს), მაგრამ ეს ძალიან მცირეა. ბუნებრივია ეს მინიმალური ხარჯების დასაფარავლად კი არ არის საკმარისი.

ბოლო 10 წელია, რაც იძულებით გადაადგილებული პირები ღვანან ზემოთხსენებული პრობლემების წინაშე და სიღუაცია ჯერ კიდევ არ შეცვლილა სასიკეთოდ. ნორმალური საკვების და საცხოვრებელი პირობების მუდმივმა არქონამ, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, და სამედიცინო მომსახურების უქონლობამ იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა საუშუალოდ შეარყია. დევნილმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრომ ყველა ღონეს მიმართა და დააარსა 13 პოლიკლინიკა, რომლებიც მომსახურებიან იძულებით გადაადგილებულ პირებს. ეს პოლიკლინიკები ემსახურებიან სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფონდების გადახარჯვის გამო სამინისტრომ ვერ მოახერხა პოლიკლინიკების შესაბამისად აღჭურვა. პოლიკლინიკების სახელმწიფო დაფინანსება საკმარისია მხოლოდ მომსახურე სამედიცინო პერსონალისთვის ხელფასების გადასახდელად, თუმცა ხელფასის გადახდა ხშირად რამოდენიმე თვის მაძილზე მაინც ვერ ხერხდება. საქართველოს სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პოლიკლინიკების აღჭურვა სამედიცინო მოწყობილობებითა და სახარჯი მასალით. სახელმწიფო თავის მოვალეობას მხოლოდ 10%-ით ასრულებს. ერთადერთი იმედი, რაც ამ სამედიცინო დაწესებულებებს დარჩენიათ არის საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარება, რათა უზრუნველყონ პაციენტთა შესაბამისი მომსახურება. CHAP/საქართველო ყოველთვის იყო და იქნება ერთ-ერთი ყველაზე აქტიური საერთაშორისო ჰუმანიტარული პროგრამა, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს პოლიკლინიკების მოთხოვნები. 1996 - 2001 წლებში CHAP/საქართველოს მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა სტრატეგიული პოლიკლინიკებისთვის განაწილებული სამედიცინო ავეჯი, აღჭურვილობა და სპეციალური აპარატურა, სამედიცინო განსაცმელი და საწოლის მოწყობილობა, ყოველდღიური მოხმარების ნივთები კვლავ ერთადერთ შემოწირულობად რჩება, რაც კი ამ სამედიცინო დაწესებულებებს ოდესმე მიუღიათ. მაგალითად, ქუთაისისა და წყალგუბოს ლგოლვილთა პოლიკლინიკები დღემდე ფუნქციონირებენ CHAP/საქართველოს მიერ მათთვის განაწილებული სამედიცინო აღჭურვილობის წყალობით.

ლგოლვილთათვის სტრატეგიული პოლიკლინიკების დახმარების პროექტით CHAP/საქართველო ჰუმანიტარულ დახმარებას სამედიცინო აღჭურვილობისა და მოწყობილობების, სპეციალური სამედიცინო აპარატურის, წამლების, სამედიცინო მოხმარების საგნების, სამედიცინო ავეჯის, ლაბორატორიული აღჭურვილობის, საოფისე



„ქაუნთერფართ ინტერნეშენელის“ ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა ფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ (<http://www.state.gov>)

ავეჯის და ნივთების, სამედიცინო ლიგერაგურის, ელექტროგენერატორის, ოთახის გამათბობლების, მანქანის და სხვა სამედიცინო დანიშნულების ნივთების სახით გაუნაწილებს შემდეგ პოლიკლინიკებს:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს წყნეთის რეგიონულ პოლიკლინიკას (აღმოსავლეთ საქართველო);
- აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პოლიკლინიკას, თბილისი (აღმოსავლეთ საქართველო);
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს კანისა და ვენსნეულეხათა დისპანსერს, თბილისი (აღმოსავლეთ საქართველო);
- იძულებით გადაადგილებულ პირთა ბავშვთა პოლიკლინიკას, თბილისი (აღმოსავლეთ საქართველო);
- აფხაზეთის ქალთა კონსულტაციას, თბილისი (აღმოსავლეთ საქართველო);
- თბილისის იძულებით გადაადგილებულ პირთა ფსიქო-ნევროლოგიური კლინიკას (აღმოსავლეთ საქართველო);
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს ლგოლვილთა პოლიკლინიკას, ფოთი (სამეგრელოს რეგიონი, დასავლეთ საქართველო);
- გუგდიდის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგიონულ საავადმყოფოს (სამეგრელოს რეგიონი, დასავლეთ საქართველო);
- ბათუმის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგიონულ პოლიკლინიკას (აჭარის რეგიონი, დასავლეთ საქართველო);
- ქუთაისის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგიონულ პოლიკლინიკას (იმერეთის რეგიონი, დასავლეთ საქართველო);
- წყალგუბოს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პოლიკლინიკას (იმერეთის რეგიონი, დასავლეთ საქართველო);

### **დიდი განაწილება გურჯაანის ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატისთვის**

საქართველოში არის დაახლოებით 46 სკოლა-ინტერნატი, თბილისი და სპეციალური სკოლა, რომლებიც მრუნავენ როგორც თბილისი ბავშვებზე, ასევე ბავშვებზე რომლებიც დაბადებულნი არიან უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში, იძულებით ადგილნაცვალ პირთა შვილებზე, უპატრონო და გონებრივად ჩამორჩენილ და ინვალიდ ბავშვებზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს განათლების სამინისტრო და სოცუმრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო აფინანსებს სკოლა-ინტერნატებს, მათი მცირე ბიუჯეტი ვერ აკმაყოფილებს საქართველოში ინვალიდ ბავშვთა მოთხოვნებს. "ქაუნთერფართ ინტერნემენელის" ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა შეავსოს ეს ვაკუუმი და უზრუნველყოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

2002 წლის 18 იანვარს "ქაუნთერფართ ინტერნემენელის" ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა CHAP-მა გადასცა 35,000 ა.შ.შ. დოლარზე მეტი ღირებულების ჰუმანიტარული გვირთი გურჯაანის ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს, რომელიც ემსახურება 160 ინვალიდ ბავშვს. ჰუმანიტარული გვირთი შეიცავდა საწოლის თბილ გადასაფარებლებს, პირსაბანს წყლის გამაცხელებლით, სხვადასხვა ჭურჭელს, სკამებს, სამედიცინო საწოლებს, საფარჯიშო მაგიდებს, საკაცეს, ფიზიო-თერაპიის მაგიდებს, საძილე გომრებს, მაგიდებს, ოთახის გამათბობლებს, განსაცმლის ჩემოდნებს, პაგარა მაგიდებს, სამეურნეო დანიშნულების მაგიდებს, პიანინოსა და დასაკეც სკამებს. პროექტი განხორციელდა გურჯაანის რაიონის ადგილობრივ მმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობით, CHAP-ი დიდ მადლობას უხდის გურჯაანის ადგილობრივ მმართველობას ამ მხარდაჭერისთვის.



„ქაუნთერფართ ინტერნემენელის“ ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა ფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ (<http://www.state.gov>)

## პარტნიორთა მიერ გამოთქმული აზრები

### საქართველოს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი “ემანუელი”

საქველმოქმედო ფონდი “ემანუელი” ემსახურება 9,500 ბენეფიციარს, რომლებიც წარმოადგენენ ყველა კატეგორიის გაჭირვებულ მოსახლეობას მთელს საქართველოში.

#### ქალბატონი მერი ერისთავი

საქველმოქმედო ფონდი “ემანუელის” პრეზიდენტი

“ჩვენი ფონდი აერთიანებს ათასობით შეციებულ, მშიერ და ცხოვრების ელემენტარულ პირობებს მოკლებულ ქართველ მოქალაქეს.

ასეთ მძიმე პირობებში "ქაუნთერფართ ინტერნეშენელის" ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა ღვთის წყალობასავით მოეწოდება გაჭირვებულ ხალხს. CHAP-ის მიერ მოწოდებულმა ჰუმანიტარულმა გვირგვინმა ბევრი ბენეფიციარი ცხოვრებას დაუბრუნა და მომავლის იმედი ჩაუსახა.

საქველმოქმედო ფონდი “ემანუელის” ადმინისტრაციას სურს გამოხატოს უღრმესი მადლობა CHAP-ის მიმართ მისი ყურადღებისა და დახმარებისთვის, რომელსაც ის სისტემატურად უწევს ყველა გაჭირვებულ ადამიანს მთელს საქართველოში.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი ხალხი და ორგანიზაციები კიდევ არსებობენ ამ ქვეყნად. ეს კი იმედს გვაძლევს, რომ საქართველო გადარჩება.”

### არასამთავრობო საქველმოქმედო ასოციაცია “დავეხმართ ბავშვებს”

არასამთავრობო საქველმოქმედო ასოციაცია “დავეხმართ ბავშვებს” აერთიანებს იმ მეომართა ოჯახებს, შვილებსა და ინვალიდ ბავშვებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომებში დაიღუპნენ.

#### ქალბატონი მ. ბახგაძე

ასოციაციის პრეზიდენტი

"ქაუნთერფართ ინტერნეშენელის" ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა CHAP-ი დიდ ყურადღებას და მხარდაჭერას ამჟღავნებს “დავეხმართ ბავშვების” ბენეფიციართა მიმართ.

მსურს განსაკუთრებით ავღნიშნო CHAP/საქართველოს თანამშრომელთა სიკეთე და გულისხმიერება.

CHAP-ი სისტემატურად უწევს დახმარებას ასოციაცია “დავეხმართ ბავშვების” ბენეფიციარებს. ასოციაციის წევრები ქაუნთერფართისგან პერიოდულად იღებენ დახმარებას განსაცმლის, ფეხსაცმლის, კვების პროდუქტების და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების სახით, რაც მეტად საჭიროა სიღატაკის მღვრამდე მისული ხალხის ცხოვრების შესამსუბუქებლად”.



„ქაუნთერფართ ინტერნეშენელის“ ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა ფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ (<http://www.state.gov>)